



 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა

პროგრამის სახელწოდება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ლევან მეტრეველი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	120 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე	<p>პროგრამის მიზანია პროფესიონალების მომზადება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტსა და ჯანდაცვის პოლიტიკაში, რომლებსაც შეეძლებათ ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე ლიდერის როლების შესრულება მოწინავე სერვისების გაწევაში, კვლევებში, პრაქტიკაში, პოლიტიკასა და ჯანდაცვის სისტემურ ანალიზში. პროგრამის ფარგლებში შეისწავლება თანამედროვე ხელმძღვანელობის, განათლების, კვლევის და მომსახურების მიწოდების საკითხები საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში რეგიონულ, ნაციონალურ და საერთაშორისო დონეებზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ფართე საფუძვლისა და ოთხ მაკროსპეციალობაში (გლობალური ჯანმრთელობა, ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, ქცევითი მეცნიერებები და ჯანმრთელობის განათლება, ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა) მომზადების კომბინაციით. ძირითადი აქცენტი გაკეთდება დაბალ- და საშუალო-შემოსავლიან ქვეყნებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემების გაძლიერებაზე.</p> <p>პროგრამა ერთობლივად მომზადდა და განხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა (თბილისი, საქართველო) და UniMan, მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია (გრენობლი, საფრანგეთი) მიერ. კურსდამთავრებულებს ორივე დაწესებულების მიერ მიენიჭებათ მაგისტრის ხარისხი და მიეცემათ ორი დიპლომი საქართველოსა და საფრანგეთის რესპუბლიკის მიერ აღიარებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>

<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პროგრამა ღიაა საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეებისთვის. საქართველოს მოქალაქეები საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან საერთო სამაგისტრო გამოცდის და თსსუ-ის მაგისტრატურის დებულებით დადგენილი გამოცდების დადებითი შედეგის საფუძველზე, ხოლო უცხოეთის მოქალაქეები – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.</p>
<p>სწავლის შედეგი</p>	<p>პროგრამის გავლის შემდეგ მაგისტრს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეპიდემიოლოგიური მეთოდების გაცნობიერება და ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგების ეფექტური გამოყენების უნარი ჯანმრთელობის პოლიტიკასა და დაგეგმარებაში. • მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსის რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასების მეთოდების ფლობა და მონაცემზე-დამყარებული გადაწყვეტილებების მიღების მიდგომების ჩამოყალიბება. • ბიოსტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტების ფლობა. • ნაციონალურად და გლობალურად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის/ჯანდაცვის პოლიტიკის ფორმულირების, კომუნიკაციის და განხორციელების კომპეტენციები. • საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემების ფუნქციონირების კანონიერი საფუძვლების და ჯანმრთელობის უფლების სათანადო აღიარება. • საზოგადოებრივი ჯანმრთელობის/ჯანდაცვის დაწესებულებების, მომსახურების მიწოდების დონების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ცოდნა. • ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნაციონალური და გლობალური პროგრამების/პროექტების განხორციელების პრაქტიკული ინსტრუმენტების ფლობა. • იმ ფაქტორების იდენტიფიცირება და ანალიზი, რომლებიც იწვევენ სიღარიბეს, უთანასწორობას და დაავადებას. დაავადების ძირითადი დეტერმინანტების აღწერა დაბალ- და საშუალო-შემოსავლიან ქვეყნებში. ადამიანის უფლებებზე, ჯანმრთელობის უფლებასა და ბიოეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრომოციისთვის თემის მობილიზების უნარების, პოლიტიკის ადვოკატირების და კომუნიკაციური სტრატეგიების გამოყენება. • მაღალი სიკვდილობისა და ავადობის ხელშემწყობი ჯანმრთელობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების აღწერა. ჯანმრთელობის სტატუსში უთანასწორობის აღწერა სქესის, რასის, ცხოვრების სტილისა და ეკონომიკური სტატუსის მიხედვით. • დაბალი ეკონომიკური განვითარების გარემოში ჯანმრთელობის წამყვანი პრობლემების მოსაგვარებლად განკუთვნილი საზოგადოებრივ ჯანმრთელობითი ინტერვენციების

	<p>ადეკვატურობისა და ეფექტურობის შეფასება. დაბალი ეკონომიკური განვითარების გარემოში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარობის გასაუმჯობესებლად პრიორიტეტების შეფასება და განვითარება.</p> <ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივ ორგანიზაციებთან ახლო თანამშრომლობით განვითარებად ქვეყნებში ჯანდაცვის თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პროგრამების დიზაინი, მართვა და შეფასება. • ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და აკადემიური პირობების ანალიზი და ინტერპრეტაცია, რომლებსაც განვითარებად ქვეყნებში შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში ეფექტური საკადრო რესურსის ჩამოყალიბებას.
<p>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ლექციები • პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები, დისკუსიები • კონკრეტული შემთხვევების გარჩევა (Case-study) • საქმიანი თამაში • ვიდეოფილმები • ნაბეჭდი მასალის გამოყენება (ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკით სარგებლობა) • საშინაო დავალების სახით ინტერნეტში მოძიებული მონაცემების ანალიზი • დამოუკიდებელი მუშაობა კომპიუტერულ კლასში • პროექტის მომზადება/პრეზენტაცია • ტესტირება • გამოცდა
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის/მაგისტრანტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:</p> <p>ა) შუალედურ შეფასებას: (სტუდენტის შესასრულებელი ყველა სავალდებულო კომპონენტი, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსის შესაბამისად);</p> <p>ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.</p> <p>სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: ტესტური, ზეპირი ან კომბინირებული შემაჯამებელი გამოცდა.</p> <p>არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 %;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%;</p> <p>გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;</p>

	<p>ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.</p> <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>თანაფარდობა შეფასების სხვადასხვა კომპონენტს შორის განისაზღვრება სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსით. საბოლოო შეფასებაში (შუალედური და საგამოცდო შეფასებათა ჯამი) გამოცდის წილი არ აღემატება 40%.</p> <p>მაგისტრანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმებით, 100-ქულიანი სისტემით ხდება, აგრეთვე, პრაქტიკის, სამაგისტრო ან/და სხვა სახის ნაშრომების შეფასებაც.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრები სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ 0-100 ქულით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება დგინდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრების მიერ მინიჭებულ ქულათა ჯამის საშუალო არითმეტიკულით.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის 51 და მეტი ქულით შეფასებისას ნაშრომი ითვლება დაცულად შეფასების ქულათა შემდეგი გრადაციით:</p> <ul style="list-style-type: none"> 91-100 ქულა – საუკეთესო ნაშრომი, 81-90 ქულა – ძალიან კარგი ნაშრომი, 71-80 ქულა – კარგი ნაშრომი, 61-70 ქულა – საშუალო დონის ნაშრომი, 51-60 ქულა – დამაკმაყოფილებელი ნაშრომი, 0-50 ქულა – არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი. <p>სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა და სხვ.) გამოუცხადებლობის შემთხვევაში ნაშრომი დასაცავად შეიძლება წარდგენილ იქნეს 1 თვის განმავლობაში, ან სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით.</p> <p>საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის 51 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს თანხმობით.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომი დასაცავად შეიძლება წარდგენილ იქნეს არა უმეტეს ორჯერ, სასწავლო კომპონენტის შენახვით.</p>
--	---